EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი no. 4728/08
რამინ კიზირია საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2014 წლის 11 მარტის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

პოლ მაჰონეი, თავმჯდომარე,
ნონა წოწორია,
კრზისტოფ ვოჟთიცკ, მოსამართლეები
და *ფატოს არაკი*, სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,

მხედველობაში მიიღო რა 2007 წლის 18 დეკემბერს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი;

მხედველობაში მიიღო რა წარმოდგენილი ოფიციალური დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებდა საქმის მორიგებით დასრულებას,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა წინამდებარე განჩინება:

ფაქტები

1. მომჩივანი, ბ-ნი რამინ კიზირია, საქართველოს მოქალაქეა, რომელიც ცხოვრობს ქუთაისში. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი, *ბ-ნი ლევან მესხორაძე,* იუსტიციის სამინისტროდან.

2. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

3. 2006 წლის 23 თებერვალს, მომჩივნის შვილი, 1980 წელს დაბადებული ბუთხუზ კიზირია და მისი ორი მეგობარი, რომლებიც მიდიოდნენ ვარციხეში, ბაღდათის რაიონში, მოკლული იქნენ შს სამინისტროს იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებული სროლის შედეგად. აღნიშნული ინციდენტი განხორციელდა ოპერაციის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა მიმავალი მანქანის მგზავრების დაკავებას, რომლებიც მიიჩნეოდნენ, რომ გადაჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღები.

4. 2006 წლის 24 თებერვალს შს სამინისტროს იმერეთის სამხარეო პოლიციაში დაიწყო გამოძიება მომჩივნის შვილისა და ორი გარდაცვლილი პირის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო გადატანისა და მათი გამოყენების ფაქტზე პოლიციის თანამშრომლების მიმართ. ყველა წინასწარი საგამოძიებო ღონისძიება, მათ შორის, ისეთი რაც უკავშირდებოდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, გამოძიების ფარგლებში ჩატარებული იქნა პოლიციის ზემოაღნიშნული დანაყოფის მიერ.

5. ზემოხსენებული გამოძიების შედეგები, შეგროვებული მტკიცებულებები, გადაეცა პროკურატურას. პროკურატურა დაეყრდნო რა აღნიშნულ მტკიცებულებებს, 2006 წლის 8 მაისს ცალკე წარმოებად გამოყო ახალი საქმე, 2006 წლის 23 თებერვლის ინციდენტის დროს პოლიციის მუშაკების ქმედებების კანონიერების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ეს საქმე ეხებოდა პოლიციის მუშაკთა ქმედებებს, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლით - მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით. აღნიშნულ სამართალწარმოებაში 2006 წლის 19 მაისს მომჩივანს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი.

6. 2006 წლის 31 დეკემბერს შესაბამისმა პროკურორმა გამოსცა დადგენილება წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ პოლიციის მუშაკთა მიმართ დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო. მომჩივანმა გაასაჩივრა აღნიშნული დადგენილება, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოების მიერ უსაფუძვლობის გამო, 2007 წლის 28 მარტს და 29 ივნისს.

პრეტენზიები

7. მომჩივანი კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად ასაჩივრებდა, რომ მისი შვილი მოკლული იქნა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ და ეფექტური გამოძიება არ განხორციელდა.

სამართალი

8. 2013 წლის 4 აპრილს სასამართლომ შეატყობინა მთავრობას საჩივრის თაობაზე, რომელიც ეხებოდა კონვენციის მე-2 მუხლს.

9. 2013 წლის 25 ოქტომბერს მთავრობამ აცნობა სასამართლოს, რომ მათ სურდათ საქმის მორიგებით დასრულება, რა მიზნითაც მათ წარმოადგინეს დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ პირობებს:

„საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობას სურს დანანებით აღიაროს კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა.

იმის გათვალისწინებით, რომ არ იქნა უზრუნველყოფილი ეფექტური გამოძიების ჩატარება მომჩივნის შვილის მიმართ ძალის გადამეტების ფაქტზე, მთავრობა მზად არის ამ დეკლარაციის ფარგლებში:

- განახორციელოს ეფექტური გამოძიება ბუთხუზ კიზირიას მიმართ ძალის გადამეტების ფაქტზე, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილით,
- გადაიხადოს 10.000 (ათი ათასი) ევრო, ნებისმიერი მატერიალური ან მორალური ზიანის, ასევე ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, რომელიც განთავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისგან, რომელიც შეიძლება მომჩივანს დაეკისროს. აღნიშნული თანხა კონვერტირებულ უნდა იქნეს მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს განჩინების მთავრობისთვის შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ გადახდა არ განხორციელდა ზემოხსენებულ 3 თვიან ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

ზემოხსენებული პირობების შესრულება წარმოადგენს საქმის საბოლოო გადაწყვეტას.“

10.2014 წლის 8 იანვრის წერილით მომჩივანმა შეატყობინა სასამართლოს, რომ ის მზად იყო დათანხმებოდა 2013 წლის 25 ოქტომბრის მთავრობის მიერ შემოთავაზებულ დეკლარაციას მორიგების შესახებ.

11.სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეთა შორის მიღწეულ მორიგებას. აქედან გამომდინარე ის იმეორებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის ფუნდამენტური მახასიათებელი, ყოველთვის ითვალისწინებს, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს, რაიმე სახის ეფექტური ოფიციალური გამოძიება, როცა პირები მოკლული არიან ძალის გამოყენების შედეგად, სხვებს შორის *(Inter alios)* სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ. (სხვებს შორის იხილეთ, *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ*, no. 25091/07, §§ 241-243, 2011 წლის 26 აპრილი). ამ შემთხვევაში სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ ჩაატაროს ეფექტური გამოძიება სიცოცხლის მოსპობის შემცველი ინციდენტის თაობაზე.

12.სასამართლო კმაყოფილებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მორიგება დაფუძნებულია ადამიანის უფლებების პატივისცემაზე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში და ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რომელიც გაამართლებდა საქმის განხილვის გაგრძელებას. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

ამის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად

მიიღო გადაწყვეტილება, კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

ფატოს არაკი
სექციის განმწესრიგებლის მოადგილე

პოლ მაჰონეი
თავმჯდომარე